საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 30 იანვარი**

დისციპლინური საქმე №53/21
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2021 წლის 14 მაისის №53 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 21 წლის 24 მაისის №218/53-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 16 სექტემბრის №53/21 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, -- -- მოსამართლისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ დამოკიდებულებას ავლენდა უშუალოდ -- -- მიმართ. განიხილავდა უვადო ხელშეკრულების საკითხს და აღნიშნავდა, რომ -- -- უკვე 65 წლის ხდებოდა და ის ვეღარ იმუშავებდა --. ამასთან, მოსამართლემ რეაგირება არ მოახდინა მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის შეფასებებზე და არ მოუწოდა მას კორექტულობისაკენ.

1.2. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ განიხილა და გააკრიტიკა სამოქალაქო საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული, გადაწყვეტილება. ასევე, აღნიშნავს, რომ მოსამართლემ წინასწარ გამოხატა საბოლოოდ მისაღებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით პოზიცია.

1.3. საჩივრის ავტორის განცხადებით, ის გარემოება, რომ მოწინააღმდეგე მხარემ ვერ შეძლო სხდომაზე ტექნიკური საშუალებით ჩართვა იმ დროს როცა მისი წარმომადგენელი იმ პერიოდშივე საერთაშორისო კონფერენციას ესწრებოდა ბადებს ეჭვს, რომ მოსამართლე მიკერძოებული იყო -- -- წარმომადგენლების მიმართ. ამ გარემოებას საჩივრის ავტორის თქმით ადასტურებს, ისიც, რომ მოსამართლეს საპატიო მიზეზით სხდომაზე გამოუცხადებლობის ფაქტის დადასტურება მხარისაგან არ მოუთხოვია. დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი. არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა მხარეები. -- -- აშს არ მისცა პოზიციის სრულად დაფიქსირების შესაძლებლობას. საქმის მსვლელობის დროს სვამდა კითხვებს, რომლებსაც თავად პასუხობდა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2018 წლის 9 ოქტომბერს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა -- -- მოპასუხე სსიპ -- -- მიმართ და მოითხოვა ქმედების განხორციელების დავალება. -- --

სასამართლოს 2018 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში. -- -- სასამართლოს 2020 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა.

2.2. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ -- -- 2020 წლის 13 მაისს. -- სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 15 ივლისის განჩინებით აპელანტ სსიპ -- -- სააპელაციო საჩივარი ხარვეზის შევსების შედეგად მიღებულ იქნა განსახილველად.

საქმეზე სხდომა დაინიშნა 2020 წლის 19 ნოემბერს 12:00 საათზე. სსიპ -- -- წარმომადგენელმა -- -- სასამართლოს განცხადებით მიმართა 2020 წლის 16 ნოემბერს, სადაც აღნიშნა, რომ სსიპ -- -- წინააღმდეგი იყო დავის ონლაინ რეჟიმში განხილვის, ვერ მიიღებდა მონაწილეობას ონლაინ სხდომაში და ითხოვა გონივრული ვადით სხდომის გადადება.

-- სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის განჩინებით ზეპირი მოსმენით განხილვა დაინიშნა 2021 წლის 28 იანვარს 11:00 საათზე. 2021 წლის 28 იანვარს სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა სსიპ -- -- წარმომადგენელი. სხდომა გადაიდო 2021 წლის 25 თებერვალს 11:00 საათზე. სასამართლოს სხდომა გაიმართა 25 თებერვალს, ხოლო სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა 11 მარტს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით აპელანტის სსიპ -- -- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 16 სექტემბრის დასკვნა:

-- -- 2021 წლის 14 მაისის №53 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ის ქმედება, რომელიც ამავე ორგანული კანონით წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას და რომელიც მოსამართლის მიერ განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედების შედეგია. აღნიშნული წესი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა, ხოლო „ვ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთი სახეა სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ კანონის დარღვევისა და ამ პუნქტით გათვალისწინებული შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტის მოსამართლის მიერ რეაგირების გარეშე დატოვება, თუ მოსამართლე ამ ფაქტის თვითმხილველია.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების 1.6 მუხლის თანახმად, მოსამართლემ უნდა გამოავლინოს და განავითაროს სამოსამართლო ქცევის მაღალი სტანდარტები, რათა გაამყაროს სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობა, რომელსაც აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა სასამართლო დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ამავე პრინციპების 4.1 მუხლის თანახმად,

მოსამართლისთვის დაუშვებელია არაკორექტული ქცევა მის თანამდებობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას, ხოლო 6.6 მუხლის თანახმად, მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით.

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების 28-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს კოლეგებს, პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას, ხოლო ხოლო 33-ე მუხლის თანახმად, მოსამართლემ თავის განცხადებაში უნდა გამოიჩინოს სათანადო კორექტულობა, არ გამოიყენოს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი სიტყვები და გამოთქმები ან დისკრიმინაციული ტერმინოლოგია.

მოსამართლის ქმედებაზე მსჯელობისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXV თავზე, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მთავარი სხდომის წარმართვის (ჩატარების) წესებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მხარეთა შორის არსებული დავის სწორად და კანონის შესაბამისად გადაწყვეტას, მათი საპროცესო უფლებების სრული რეალიზაციის შესაძლებლობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს სასამართლო სხდომაზე წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითებათა სავალდებულოობის წესს. კანონმდებელი მითითებული კოდექსის 211-ე მუხლში განმარტავს, რომ მხარეები, წარმომადგენლები, მოწმეები, სპეციალისტები, თარჯიმნები, აგრეთვე სასამართლოს სხდომის დარბაზში მყოფი ყველა მოქალაქე ვალდებულია დაიცვას დადგენილი წესი და უსიტყვოდ დაემორჩილოს მოსამართლის განკარგულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონი ადგენს იმ სანქციებს, რომლის გამოყენების შესაძლებლობაც აქვს მოსამართლეს. საქმის განხილვის მსვლელობისას მხოლოდ მოსამართლეა უფლებამოსილი მართოს პროცესი. სასამართლოს ნებართვის გარეშე გაკეთებული ნებისმიერი განცხადება (მათ შორის მოქმედებაც) მოსამართლის მიერ შეიძლება აღქმული იქნეს წესრიგის დარღვევად და სამართლიანად დაექვემდებაროს საპროცესო პასუხისმგებლობის ღონისძიებას. საქმის განხილვაში მონაწილე ნებისმიერი პირის ვალდებულებაა ინარჩუნებდეს სიმშვიდეს, ხელს არ უშლიდეს სასამართლოს საქმიანობას, ასრულებდეს მოსამართლის მითითებებს და ემოციის საფუძველზე აშკარად არ გამოხატავდეს სასამართლოს ან პროცესის მონაწილეების (მათ შორის დარბაზში მყოფი პირების) მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას.

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

დადგენილია, რომ 2021 წლის 25 თებერვალს საქმეზე გამართული სხდომა საათნახევარი მიმდინარეობდა. სხდომაზე მოსამართლემ მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, მხარეებს დაუსვა შეკითხვები. მოსამართლე ყველა ღონეს ხმარობდა პროცესის მორიგებით დამთავრებისათვის, რა დროსაც -- -- კანონმდებლობის დეტალებზე ესაუბრებოდა, მათ შორის 65 წლის ასაკის მქონე პირთა საპენსიო ასაკის თაობაზე გაამახვილა ყურადღება, თუმცა იქვე ბიოლოგიურ ასაკთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება განმარტა.

მნიშვნელოვანია, რომ განსახილველ საქმეზე წარმოდგენილი სხდომის ოქმების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მოსამართლე სხდომის მსვლელობის დროს იყო თავშეკავებული, ცდილობდა საქმის გარემოებების მოკვლევას. სხდომის ოქმის მთლიანობაში შესწავლის, არსებული კონტექსტისა და მოსამართლის დამოკიდებულების გათვალისწინებით შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მოსამართლის მიერ მხარის მიმართ დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ მოპყრობას ადგილი არ ჰქონია.

საინტერესოა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა. კერძოდ, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სადისციპლინო კოლეგიამ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული საქმის განხილვისას პროცესის მონაწილე მხარეების მხრიდან შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს არაკორექტულ, შეურაცხმყოფელ, პროვოკაციულ, არაეთიკურ ან რაიმე სახის შეუფერებელ ქმედებას მოსამართლის ან სასამართლო ხელისუფლების მიმართ, მოსამართლე, მისი მაღალი სტატუსიდან გამომდინარე, ვალდებულია, შეინარჩუნოს სიმშვიდე, არ გასცდეს ეთიკის ფარგლებს და იმოქმედოს მხოლოდ და მხოლოდ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ მოსამართლეს გააჩნია თმენის მაღალი ვალდებულება, რაც მას უზღუდავს უფლებას მის მიმართ განხორციელებული შესაძლო არაეთიკური ქმედების დროს განახორციელოს ანალოგიური საპასუხო მოქმედება.[1]

უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველ საქმეზე წარმოდგენილი სხდომის ოქმების შესწავლის შედეგად არ დგინდება მოსამართლის ან მოწინააღმდეგე მხარის მიერ -- -- შეურაცხყოფისა და მოსამართლის მიერ აღნიშნულის რეაგირების გარეშე დატოვების ფაქტი.

4.2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მოსამართლის მიერ განსახილველი საქმის შედეგის წინასწარ გამჟღავნება, გარდა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“ წარმოადგენს დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების მეორე ღირებულების თანახმად, მიუკერძოებლობა არის მნიშვნელოვანი სასამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად განსახორციელებლად; ის ვრცელდება არა მხოლოდ გადაწყვეტილებაზე, არამედ პროცესზეც რომლის შედეგად გადაწყვეტილება მიიღება. ბანგალორის 2.1. პრინციპის თანახმად, მოსამართლემ თავისი სამოსამართლო ვალდებულებები უნდა განახორციელოს წინასწარი კეთილგანწყობის, ტენდენციურობის ან წინასწარ შექმნილი ცუდი აზრის გარეშე.

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-6 მუხლის თანახმად, მოსამართლემ მართლმსაჯულება უნდა განახორციელოს რომელიმე მხარისადმი მიკერძოების, ფავორიტიზმის ან წინასწარი განწყობის გამოვლენის გარეშე. იგი უნდა მოერიდოს ისეთ ქცევას, რომელიც პროცესის მონაწილეებს ან საზოგადოებას შეუქმნის რწმენას, რომ მან გადაწყვეტილება მიიღო მტკიცებულებების წარდგენამდე და მხარეთა არგუმენტების მოსმენამდე.

საქმის მასალების მოკვლევის, კერძოდ, სხდომის აუდიოოქმის მოსმენის შედეგად დადგენილია, რომ მოსამართლე -- -- მიერ საქმის შედეგის წინასწარ გამჟღავნების ფაქტი არ გამოვლენილა.

რაც შეეხება სხვა სასამართლოს მიერ მიღებულო გადაწყვეტილების კრიტიკასა და სხვა სამართალწარმოებაში ჩარევას, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო სხდომაზე რამდენჯერმე იქნა გაჟღერებული სამოქალაქო სამართლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, თუმცა მოსამართლე პირიქით აღნიშნავდა, რომ სამოქალაქო დავას არ განიხილავდა, სხვა სასამართლოს განსჯად საქმეში ვერ ჩაერეოდა, ცდილობდა მხარეებს დავის ფარგლებში ესაუბრათ.

4.3. რაც შეეხება მოსამართლის შესაძლო მიკერძოების ფაქტსა და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესით, პოლიტიკური და სოციალური ზეგავლენით.

აღნიშნულთან მიმართებით გასათვალისწინებელია ბანგალორის პრინციპების 2.1 მუხლი, რომლის თანახმადაც მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე.

[1] საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია, 2016 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება, საქმეზე №1/01-15

ასევე, ყურადღება უნდა გამახვილდეს სამოსამართლო ეთიკის წესებზე, რომლის მიხედვითაც მოსამართლეებმა ნებისმიერ გარემოებაში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და უზრუნველყონ, რომ მოქალაქეებს არ ჰქონდეთ კანონიერი საფუძველი დაეჭვდნენ მათ რაიმე სახის მიკერძოებაში. ამ თვალსაზრისით, მიუკერძოებლობა უდავო უნდა იყოს, როგორც მოსამართლეების მიერ სამოსამართლო ფუნქციების, ისე სხვა სახის საქმიანობის განხორციელებისას... მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები რაიმე სახის უპირატესობის, მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი განწყობის გარეშე, გადაწყვეტილების მიღებისას, მათ არ უნდა გაითვალისწინონ რაიმე, რაც სამართლის ნორმების გამოყენების ფარგლებს სცდება. საქმის განხილვისას ან თუ მათ საქმის განხილვა დაევალათ, მათ შეგნებულად არ უნდა მისცენ თავს უფლება გააკეთონ რაიმე კომენტარი, რომელიც საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას მიკერძოების რაიმე ვარაუდსაც კი გამოიწვევს ან შეიძლება გავლენა იქონიოს საქმის სამართლიან განხილვაზე.[2]

ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, მიუკერძოებლობა გულისხმობს წინასწარ შექმნილი შეხედულებებისა თუ გავლენების არ ქონას და მე-6 მუხლის მიზნებისათვის იგი შემდეგი გარემოებების საფუძველზე დგინდება: სუბიექტური ტესტით, რომლის თანახმად ფასდება კონკრეტული მოსამართლის პირადი მოსაზრებები, ქცევა - გააჩნდა თუ არა მოსამართლეს მოცემული საქმის შედეგით პირადი დაინტერესება ან ჰქონდა თუ არა მას წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულება; და ობიექტური ტესტით, უზრუნველყოფილია თუ არა სასამართლო მიუკერძოებლობის თაობაზე, საფუძვლიანი ეჭვების გამომრიცხავი სათანადო გარანტიები (Fey v. Austria §28 და §30; Wettstein v. Switzerland, §42). სადაც რთულია მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის შესახებ პრეზუმფციის საწინააღმდეგო მტკიცებულების მოპოვება, ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნები მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს (Pullar v. the United Kingdom, §32).

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მხარეთა თანასწორობა მოითხოვს, მხარეთა შორის სამართლიანი ბალანსის არსებობას, რათა თითოეულ მხარეს ეძლეოდეს გონივრული შესაძლებლობა, დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია ისეთ პირობებში, რომლებიც მას მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით არსებითად წამგებიან მდგომარეობაში არ ჩააყენებენ (SCHULER-ZGRAGGEN v. SWITZERLAND, §50-52).

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქმეზე სხდომა გაიმართა 2021 წლის 28 იანვარს. სხდომა დაიწყო 11:47 საათზე. სხდომაზე მოსამართლემ განაცხადა, რომ ტექნიკური ხარვეზის გამო სსიპ -- -- წარმომადგენელი სხდომაზე ვერ ჩაერთო და განმარტა, რომ 11:00 საათიდან სასამართლოსა და -- ტექნიკური ჯგუფი ცდილობდა მხარის ჩართვას პროცესში, რაც ვერ მოხერხდა ტექნიკურად. მოსამართლემ ასევე, განმარტა, რომ აპელანტის მონაწილეობას საქმეში განსაკუთრებული

[2] ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნა, გვ.6 §23

მნიშვნელობა ჰქონდა და რადგან მხარე ვერ ერთვებოდა საჭიროდ მიიჩნია სხდომის სხვა დროისათვის გადადება.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე თანაბარ შესაძლებლობას აძლევდა ყველა მხარეს გამოეთქვათ თავისი მოსაზრებები საქმესთან დაკავშირებით. ახსნა-განარტების მიცემის უფლებით ისარგებლეს როგორც აპელანტებმა, ისე მოწინააღმდეგე მხარეებმა და მათმა წარმომადგენლებმა.

მოცემულ საქმეზე აუდიოოქმების მოსმენის შედეგად, შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევის, რომელიმე მხარისადმი რაიმე უპირატესობის მინიჭების, მოსამართლის შესაძლო ტენდენციურობის ან რაიმე სახის მიკერძოების ფაქტები არ გამოვლენილა.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ათმა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“, „ვ.გ“ და „ბ.ბ“ ქვეპუნქტებთან მიმართებით არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები, ხოლო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტთან მიმართებით 9 წევრმა არ არსებობდა დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები (ხმის მიცემის ერთი ბარათი გადაცდომის აღნიშნულ ქვეპუნქტზე გამოცხადდა ბათილად).

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №53/21 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი